ქ. წალენჯიხა 24 აგვისტო 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N4

2022 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ომარ ქარდავა, ნანა ქობალია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დარსალია, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მერის მოადგილე ივანე ბურდული.
დაწყების დრო: 12:^{00}-სთ.
დასრულების დრო: 12:^{20}-სთ

დღის წესრიგი:

1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის ნ7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

პროექტის წარმომდგენი: თამარ ბელქანია-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

2. სხვადასხვა

თამარ ბელქანიამ კომისიის წევრებს საკითხის გაცნობამდე მიმართა, რომ იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში (ჯგალში), სადაც არ მიეწოდებათ წყალი და მოსახლეობა ითხოვს სწრაფ რეაგირებას. 5000 ლარი არის საჭირო პრობლემის მოსაგვარებლად და ამ თნხის სასწრაფოდ მობილიზებაა საჭირო.

მოისმინეს 1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დადგენილებაში შედის ცვლილება, კერძოდ, შეიქმნა ახალი პროგრამა „ფსიქიკურ ავადმყოფთა ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა“ (დანართი თან ერთვის), პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად 50 ლარის ჩარიცხვას წარმოდგენილ ანგარიშზე და გათვლილია 50 ბენეფიციარზე. მეორე ცვლილება შეეხება თირკლის დიალიზზე მყოფი პაციენტების

ტრანსპორტირების ფინანსურ უზრუნველყოფას, ნაცვლად 100 ლარისა ბენეფიციარი მიიღებს 150 ლარს.

კომისიის წევრებს ამ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ და საკითხი საკრებულოს სხდომაზე გასატანისათვის მომზადებულად მიიჩნიეს.

2. სხვადასხვა. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარია ინიციატივით გამოვიდა, რომ წარჩინებულ სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა რამდენადმე შეიცვალოს და გათვალისწინებულ იქნეს იმ სტუდენტთა დაფინანსება რომლებიც მონაწილეობენ გაცვლითი პროგრამაში და კონკურსის წესით მოიპოვებენ ამ უფლებას. წასახალისებელი თანხა უნდა განისაზღვროს 500 ლარით. რაზეც კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს უდაოდ ძალიან კარგი იქნება ამ კატეგორიის პირებისთვის დახმარება, მაგრამ აუცილებელია პროგრამაზე მუშაობა და ისეთი კრიტერიუმების დაწესება, რომელიც შესაძლებელს გახდის ბიუჯეტის ფარგლებში პროგრამის ეფექტურად წარმართვას. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ თამარ ბელქანია დაეტანხმა წარმოთქმულ წინადადებას და აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ შემოღებული იქნება ეს პროგრამა და ამუშავდება სატესტო რეჟიმში..

ამით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/